ISBN 978-994-10-7092-1

მიხეილ ოქრიაშვილი

# სურნელი გაზაფხულისა



მიხეილ ოქრიაშვილი

# სურნელი გაზაფხულისა

ლექსები

2014 წელი

*მიხეილ ოქრიაშვილი პროფესიით ჟურნალისტია,*
*იგი არის ორი წიგნის ავტორი:*
*„ჯავახი (ჩემი სოფელი)“, 2011 წ.*
*„მადნეული“, 2013წ.*

*ლექსების უმეტესი ნაწილი*
*ახალგაზრდულ წლებშია დაწერილი.*

ISBN 978-9941-0-7092-1

# ჩემი საქართველო

როდესაც მზე პირს დაიბანს, –
ძირს მძივს დაუშვებს ყელისას,
ტანს მოიზომავს, დაიბნევს
ატლასებს ცისარტყელისას, –

მაღლა მთა, დაბლა მდელოა, –
ზღაპრულ ხალიჩად დასხმული,
ეს ჩემი საქართველოა, –
ცისა და მიწის ასული.

# ᲓᲛᲐᲜᲘᲡᲘᲡ ᲜᲐᲥᲐᲚᲐᲥᲐᲠᲗᲐᲜ

შენ შემორჩი მამულს ძეგლად,
გვიპყრობ მზერით მეფურით,
საფეხურით, ნაფეხურით,
გალავანთა ფერხულით.

მამულისთვის თავდადების
დროშა მაღლა გჭერია,
დაიჩემოს სხვამ რაც უნდა,
ჭირთათმენა შენია.

შენ სამშობლოს გუშაგობდი,
ფარი იყავ ნამდვილი,
საქართველო დედა იყო,
შენ – ნამუსის მანდილი.

ცოტას ამბობ, თუმც, სათქმელი
შენი – ერთობ გრძელია,
ბრძენნი ცოტას იტყვიანო,
ეგ დუმილიც ბრძენია.

უკვდავების წყალი გისვამს,
მაშავერას ნაჟური,
მტრისთვის იყავ სალი კლდე და
გულ-მკერდ გადარაზული.

კვლავაც დგახარ ჩვენს იმედად
და ბრძენივით დუმხარო,
საქართველოს დიდი დარდის
დიდო ჭირისუფალო.

# ზეზვა და მზია

საქართველოში, დმანისის ნაქალაქარში (სიონში),
აღმოჩნდა აფრიკიდან 1 მილიონ 800 ათასი წლის
წინ წამოსული წინაპარ ადამიანთა ნაშთები,
რომლებსაც ეწოდათ ზეზვა და მზია

უცხო ადგილზე-პირველყოფილნი,
ქართულ მიწაზე ხართ სრულყოფილნი.

ადამიანად სრულყოფის ფასად
დრომ და გარემომ სად არ გატარათ,
გაუკვალავმა გზებმა და წლებმა
ქართულ მიწამდე გამოგატარათ.

ქართულ მიწაზე დაიდეთ ბინა,
აქ ნახეთ შვება, აქ ნახეთ სითბო,
რაც მიატოვეთ, რაც ვერ იგუეთ,
მათ მშობლიური არც ეთქმით თითქოს.

ქართველმა კაცმა, როგორც მშობელმა
გიწოდათ ზეზვა, გიწოდათ მზია,
ძეგლი დაგიდგათ, როგორც წინაპართ,
უკვდავებასთან ჩაგაზიარათ.

დღეს თქვენი გენი, თქვენი ნამრავლი
ბევრ ზეზვაშია, ბევრ მზიაშია, –
ევროპასა და აზიაშია.

# აწვიმს საქართველოს

საქართველოში წვიმს ძალზე ხშირად,
ცრემლით სავსეა ცის თვალთა უპე,
ხან მეხი გვირტყამს, ხან სეტყვა ცვივა,
ღმერთს მაინც ვლოცავთ და გუნდრუკს ვუკმევთ.

დაგვბედებია ჩენ ჩვენი წილი
ღვთის წყალობა და ღვთის რისხვა ერთად,
ზოგჯერ ვერც ვასწრებთ წუხილს და ტირილს,
რომ მოციქულნი გვიხმობენ ღმერთთან.

ჩვენ ორი ცრემლი გვარგუნა ბედმა,
ერთი მიწისა, მეორე – ცისა,
კვლავ მოვა წვიმა, კვლავ მოვა დელგმა,
კვლავ ავიცილებთ ყოველგვარ რისხვას.

გაოცებულან და უკვირთ თვალებს, –
რად არ შრებაო წამწამი სველი,
რად ეცილება მარად ერთმანეთს, –
საქართველოს ცას – მზე და ღრუბელი.

შევყურებ ზეცას, ღრუბელთა წყებას,
მიუკარებელს, გულცივს და უცნობს,
ნეტავ, ოდესმე, ეს წყალდიდობა
ჩვენ წაგვლეკავს, თუ – მოლეკავს უცხოს?!

# ტაძარი წმინდა

ფიქრები ბოლნისის სიონთან

დგას ბრძენთა-ბრძენი ტაძარი მშვიდად,
ერის სინდისით, ერის წარსულით
და შუბლს უნათებს წარწერა წმინდა, –
ბგერაღვთიური – პირველქართული.

დედავ ტაძარო! ვითარცა მწყემსმა
იმოციქულე თვით მაღალ ღმერთთან,
აამეტყველე ქართულით ესე
წმინდა კერები ივერიელთა.

შემოგჯარვია მთები ზვიადად,
უდრეკი ქედით და მხარ-ბეჭებით,
შემოუნახავთ მათ-დღემზიანებს
შენი ანბანის ანაბეჭდები.

კვლავაც გაჩნია კვალი ვერაგის, –
ნაიარევი ჩანს ქვათაწნული,
შემოგაფხრიწეს ბევრჯერ პერანგი,
ვერ ამოშანთეს ენა-ქართული.

შემოგვინახე ვით სული წმინდა,
თუმც, ჯვარზე გაცვეს, თუმც, ბევრჯერ დაგწვეს,
და ვერ მოწყვიტეს გაჩენის დღიდან
ქართველი-ქართულს, ქართული-ქართველს.

# სანთელი

იწვის სანთელი
ნელა და ნელა,
ჩუმად, თანდათან
დნება და დნება,
[illegible] ისეთი
[illegible] დნება,
ალბათ, სურვილი
[illegible] უხდება.
[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

# პატრიარქის საჩუქარი

ჩემს პირად ბიბლიოთეკას საქართველოს
კათალიკოს-პატრიარქის ილია II -ის
წარწერით ნაჩუქარი ბიბლია ამშვენებს.

მერგო პატივი თქვენთან შეხვედრის,
როს მოილოცეთ მთლად ქვემო ქართლი,
თვალს არ სჯეროდა, როცა ბიბლია
გამომიგზავნეთ თქვენის ხელდართვით.

დევს წიგნთა-წიგნი წიგნის თაროზე,
დუმილი ამკობს უტყვი მოწმისა,
ინახავს ამბებს მთელ სამყაროზე, –
დაბადებიდან კაცთა მოდგმისა.

ვკითხულობ, თითქოს ჩამესმის ხმები
მოციქულთა და ფსალმუნთა ერთად,
და ვლოცავ უფალს, როცა ვეხები
სიწმინდეს-სიბრძნეს ბოძებულს თქვენგან.

# ვია დოლოროსა

„ვია დოლოროსა" – წამების გზა,
გზა, რომელიც იესო ქრისტემ
გაიარა ჯვარცმის წინ.

წამების გზაზე შეჩერდი ცხრაჯერ,
ცხრაჯერ დაკარგა ცამ თითქოს ფერი,
ძალი და ღონე წვეთ-წვეთ დახარჯე,
შემოგრჩა სული-ხელუხლებელი,
სულმა უკვდავმა დიდებით გმოსა,
ვია დოლოროსა!

სისხლის წვეთები რჩებოდა ქვაზე,
და ვარვარებდა სხეული მზისგან,
სამჯერ დაჩოქილს წამების გზაზე
ანგელოზები გიხმობდნენ ცისკენ,
და მაღლდებოდი უფრო და უფრო,
შენ დაჩოქილი იყავი როცა,
ვია დოლოროსა!
ვია დოლოროსა!

ეჭვით, ღალატით და ჭკუით ბნელით,
შურისძიებით და ხალხის ჯავრზე,
შენ – გულმართალი, შენ – შუბლნათელი
სიკეთის ფასად გაგაკრეს ჯვარზე,
მადლიერების ნიშნად მას შემდეგ
შენს უკვდავ სახელს მრევლი სულ ლოცავს,
ვია დოლოროსა!
ვია დოლოროსა!

# სამაზიერო

აჰა, ჩემო ძმაო,
– ჩვენი ძმობის წილი,

ჩემო მეგობარო,
– ფიცის სისხლის წვეთი,

ჩემო გულის სწორო,
– გული – შენი სამღვთო,

ჩემო ძეო-შვილო,
– ყველა ჩემი ფიქრი,

ოცნებაო ჩემო,
– საოცნებო ფრთები,

ჩემო მწვრთნელო კაცო,
– ვალი – ოქროს მთების,

კარის მეზობელო,
– კარი ერთადერთი,

ჩემო ბედ-იღბალო,
– თუ კი არის – ბედი,

ყველას, ყველას, ყველას,
– მისი წილი-ხვედრი,

შენ, შენ ჩემო დედი?

# მადლობა დედას

ყოველთვის დიდი მეგონა დედა,
ბოლოს, პატარა აღმოჩნდა ჩვენზე,
დაგვტოვა, დაგვრჩა მუდმივი სევდა,
სევდა, ძლიერი თვით ცხარე ცრემლზე.

თურმე, პატარა ყოფილა ჩვენზე,
ჩვენ კი, მოხუცი გვეგონა თითქმის,
ულამაზესი: სულით და ხორცით,
სიტყვით, უსიტყვოდ, დარდით და ფიქრით.

ისე წავიდა, არ უთქვამს „ვაი“,
უხმოდ უძლებდა ტკივილს უხილავს,
და, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე,
„რატომ ვკვდებიო“, – არც ეს უკითხავს.

ის იქ წავიდა, ჩვენ აქეთ დავრჩით,
თუ რამ გვიჭირს და კარგად ვართ როცა,
დედის ხატება თავს დაგვტრიალებს,
გვეფერება და იქიდან გვლოცავს.

შრომას და ამაგს, ჩვენზე გაწეულს,
დედი, ვინ იტყვის, ანდა, ვინ დათვლის,
შენი შვილები, შვილიშვილები,
მადლობელი ვართ ყველაფრისათვის.

## ჩემს შვილიშვილს – სოფოს

სოფო, სოფია, სოფიო,
ერთია, ერთადერთია,
რომც განიკითხო მსოფლიო,
ის ყველგან ერთადერთია,
ჩემი ხატია, ღმერთია!

ლამაზი, ნაზი, ფაქიზი,
წმინდა, ანკარა სულისა,
სურნელი გაზაფხულისა,
ერთია, ერთადერთია,
ჩემი ხატია, ღმერთია!

ნატვრაც არის და ნანატრიც,
გვარის და ჯიშის ნამატი,
ყველას კეთილი მეკვლეა,
თუმცა, ის მხოლოდ ერთია,
ერთია, ერთადერთია,
ჩემი ხატია, ღმერთია!

## ᲓᲔᲓᲐ ᲔᲢᲧᲕᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲡ

დედა ეტყვის შვილს:
– შენ შემოგევლოს ჩემი სიცოცხლე,
ჩემო გადარეულო,
გიჟო,
ცეტო, – მამის ნასხლეტო!..

* * *

შენ მოევლინე ქვეყანას,
შენი ჯიშის და მოდგმისა,
ვით დროებითი სიცოცხლე
ხის ტოტზე მწვანე ფოთლისა.

# ფოთლები

თუმც-კი ბუნების კანონმდებლობით,
თავ-თავის დროზე, და წყება-წყებად,
როცა ცვივიან ხიდან ფოთლები, –
არ გებრალებათ?
არ გებრალებათ?

ხომ გახსოვთ შორით, შორეულ ტყიდან
მძლავრი გუგუნი ერთიან ხმებად,
ახლა, ის ხმები ცვივიან ხიდან, –
არ გებრალებათ?
არ გებრალებათ?

თრთოლვით, ფარფატით,
ფრთხილად, ნარ-ნარად,
ხან თითო-თითოდ,
ხან წყება-წყებად, –
როცა ცვივიან ხიდან ფოთლები, –
არ გებრალებათ?
არ გებრალებათ?

# რა ლამაზი ხარ, დედამიწავ

არა მგონია გყავდეს მსგავსი,
გყავდეს მოცილე,
რა ლამაზი ხარ, დედამიწავ,
შე დალოცვილო!

„დიდ აფეთქებად“ წოდებულმა შობა სამყარო,
თვით შენი შობა ურთულესი იყო პროცესი,
მადლიერია კაცთა მოდგმა, უზომოდ ხარობს, –
დედამიწაა მათი ბინა – ჭერიც და ფესვიც.

თუ სამყაროში, ნაცნობ-უცნობ სხეულთა რკალში,
გამორჩეული, ერთადერთი შენ ხარ მშვენება,
სიფრთხილეც გმართებს შენს კოსმიურ მოძმეთა
„თვალში“,
სილამაზეს ხომ „ავი თვალიც“ აედევნება.

ბევრჯერ ვყოფილვართ განსაცდელის მძიმე
წუთებში,
ასტეროიდთა დამუქრებაც ხშირად გვაშინებს,
გოლიათებთან, გიგანტებთან უხილავ ომში,
დასაბამიდან მფარველობ და იცავ შენს შვილებს.

მადლობის ნიშნად, მიწიერი შენი შვილები
სანთელს გინთებენ, ლოცულობენ და შენ გლოცავენ,
და გეფერებით შენს უბეში გამოზრდილები:
ო, რა თბილი ხარ, დედა-მიწავ,
შე დალოცვილო!

# ᲮᲘᲠᲝᲡᲘᲛᲐᲡ ᲓᲐᲑᲝᲛᲑᲕᲐ
# ᲓᲐᲠᲘᲐᲚᲘᲡ ᲛᲔᲬᲧᲔᲠᲘ

1946 წლის 6 აგვისტოს ამერიკის ბომბდამშენმა
იაპონიის ქალაქ ხიროსიმაში ატომური ბომბი
ჩამოაგდო, რის შედეგადაც ქალაქი მთლიანად
მიწასთან იქნა გასწორებული.
2014 წლის ივლის-აგვისტოში, საქართველოში,
დარიალის ხეობა ორჯერ დაიმეწყრა.

როცა კაცმა-ცოდვილმა
კიდევ ერთხელ შესცოდა, –
ხიროსიმა დაბომბა
და დაუშვა შეცდომა;

დარჩა ნაქალაქარი,
ნაფერფლარ–ნახანძრალი,
ერთადერთი გადარჩა
ეკლესია–ტაძარი.

როცა მთა „განაწყენდა“,
(მიზეზს არვინ ძეობდა),
სრულად შთანთქა მეწყერმა
დარიალის ხეობა;

მთლად მიწისქვეშ აღმოჩნდა
სიახლოვეს რაც არი,
უვნებელი გადარჩა
ეკლესია–ტაძარი.

ხიროსიმას დაბომბვა,
დარიალის მეწყერი,
იმ დროს –კაცმა შესცოდა,
აქ – ბუნება გაგვიწყრა.

თუ უფალი გპატიობს
ცოდვებსა და მანიებს,
გადარჩენილ ტაძარში
შედი, მოინანიე.

# ᲔᲥᲕᲡᲘ ᲞᲘᲠᲓᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ
# ᲒᲕᲔᲚᲔᲨᲐᲞᲘ ᲒᲕᲘᲧᲣᲠᲔᲑᲡ

მიწისძვრა,
ტაიფუნი,
ცუნამი,
ტორნადო,
ვულკანი,
სუპერ-ვულკანი.

დედამიწის გულისყრა
და ძაგძაგი მიწისა,
როდის, ვის რას უპირებს
საზარელი მიწისძვრა?!

აქოჩრილი ტალღები,
მედიდური, მეფური,
ოკეანის ვეშაპი –
გიგანტი ტაიფუნი!

თავს როდის დაგატყდება
ვერ მიხვდები გუმანით, –
ოკეანის ასპიტი,
ცოფიანი ცუნამი!

სპობს და მუსრავს ყველაფერს
გზად არაფერს არ ინდობს,
ეს ხმელეთის ჯალათი, –
ქარბორბალა ტორნადო!

სძინავს, მაგრამ, მუდმივად
ფხიზლობს ცალი თვალით,
დედამიწის სიმსივნე, –
თავნება ვულკანი!

გაიღვიძებს ოდესმე
თურმე, სუპერ–ვულკანიც,
მის შემდეგ არსად რჩება
სიცოცხლის ნიშან–წყალი.

ექვსი პირდაღებული
გველეშაპი გვიყურებს,
რაკი გაჩენის დღიდან
მათ ვაბარებთ ჩვენს სულებს;

არჩევანი არა გვაქვს,
რაც იქნება, იქნება,
სულ ერთია, – ექვსთაგან
რომლის მსხვერპლი ვიქნებით...

# სიზმარი, რუკა, ცრემლები

ავი სიზმარი მესიზმრა,
სიზმარი ცხადად ვიწამე,
ბზარი, ნაპრალი, უფსკრული
ჩნდებოდა ქართულ მიწაზე.

საშინლად იკლაკნებოდნენ
რუკაზე შავი ხაზები,
ბზარის, ნაპრალის, უფსკრულის
რვაფეხა მეტასტაზები.

ღვთით ბოძებული ატლასი
თანდათან წელში წყდებოდა
და მიწა საქართველოსი
შუაზე იხლიჩებოდა.

ვგლოვობდი მშობელ მიწა-წყალს,
დაგლეჯილსა და დატორილს,
ქვეყანას შველას შევთხოვდი,
არ ჩანდა კაცი-პატრონი.

ბზარმა, ნაპრალმა, უფსკრულმა
წაგვტაცა დაბლარ-მაღლარი, –
იქით-მამული სამოთხე,
აქეთ-მამული ბაღნარი.

. . .
ცხადში კედელზე ჰკიდია
დაჭრილი რუკა მძევლებით,
მიწას ჭრილობა ატყვია,
ჩემს ბალიშს – სიზმრის ცრემლები.

*   *   *

წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის –
ოქრიაშვილების საგვარეულო ხატი 2013 წლის
28 აგვისტოს დმანისის სიონის საკათედრო
ტაძარში იქნა დაბრძანებული.

ვბედავ შეგკადრო მადლიერება,
რომ გავხდით შენი სახელის ღირსი,
გულში შემოდის ცხრა ნეტარება,
და ანგელოზთა გალობა ისმის.

ღვთის ნებაც იყო, დრომაც შეიშნო,
ვარსკვლავთმრიცხველნიც ამგვარად თვლიან,
მშობლებისათვის ნანატრი პირმშო, –
რომ მოევლინე სამყაროს გვიან.

შენი მოვლენით შეშფოთებულმა
ტირანმა მეფემ, ელდა ნაკრავმა,
ბრძანა მოსპობა ჩვილთა და წულთა, –
შენ შეგინახა კლდეთა ნაპრალმა.

უდაბნოს ხვატში ლოცვით მავალი
გზას მოიკვლევდი შორით და შორით,
იყავ მეოხი-შუამავალი,
უბრალო ხალხის და ღმერთის შორის.

თუმც, გზა-სავალი ბევრჯერ გაიყო,
დიდხანს იარე შენ წმინდა წყლისკენ,
ბედმაც გარგუნა, ღვთის ნებაც იყო,
რომ მოგენათლა იესო ქრისტე.

იორდანეს წყალში განბანე ქრისტე,
თვით განიბანე მისი სხეულით,
და დაუტოვე კაცობრიობას
მარადისობის ხატი-რჩეული.

დიად საქმისთვის თვითგასაწირად
სული და ხორცი ერთმანეთს ერთვის,
მოწამებრივად თავის შეწირვას
მხოლოდ რჩეულებს თუ ანდობს ღმერთი.

არ შეეპუე მეფის ავ-ზრახვას,
არც დაპირებამ გაცდუნა ჩარჩის,
სიწმინდისათვის თავი გაწირე,
და, მარადიულ წმინდანად დარჩი.

შეგბედეთ, იყო მფარველი გვარის,
თაყვანს ვცემთ შენს ხატს და გინთებთ სანთელს,
გულზე გვკიდია მაცხოვრის ჯვარი,
ლოცვებში ვამბობთ ჩუმად ჩვენს სათქმელს.

დიდიება უფალს, ძეს, სული წმინდას,
შენს სახელს ვლოცავთ ფუძით მრავალით,
გულში ატარებს შენს სახელს-წმინდას
კვლავ ჩვენი გვარის შთამომავალი.

# ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲥᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲡ
(ჩემს ბიძაშვილს)

უფლის განგებით და უფლის ნებით
ჩვენც მოვევლინეთ ერთ დროს ქვეყანას,
გვებოძა გვარი – ოქრიაშვილი
და ერთ დღეს ყველა ერთად შეგვყარა.

გვარი დალოცა თვით უწმინდესმა,
გვიკურთხა ხატი-საგვარეულო,
და ის დღეები ჩვენთვის – ყველასთვის,
იყო ნათელი და უჩვეულო.

ზეიმი ჰქონდათ ოქრიაშვილებს,
იმ დღეს სიხარულს ვერვინ ფარავდა,
და აგირჩიეს ბრძენი – თავკაცი
საგვარეულო სუფრის თამადად.

სუფრა არ იყო ჩვეულებრივი,
არც სადღეგრძელო ტრადიციული,
მარიამობის დღით მადლმოსილი
ყოველი სიტყვა იყო ღვთიური.

წესით და რიგით, თავ-თავის დროზე,
სასმისი სასმისს ცვლიდა ხშირ-ხშირად,
ცასა სწვდებოდა შენი ხმის ექო,
როცა ლოცავდი შენს გვარს და ჯილაგს.

როგორც დესპანს და გვარის წინამძღოლს,
ზოგჯერ ბედნიერს და ზოგჯერ მწუხარს,
გიყურებდი და შენ იმ საღამოს
ჰგავდი ფესვგამდგარ ძლიერ ბერმუხას.

და მე გადმოგცემ დიდ წინაპართა,
მამა-პაპათა მადლობის სათქმელს:
არ ჩაუვლია ფუჭად და უქმად
მათ შრომას, გარჯას, მიზანს და საქმეს,

რომ შენი სახით გვარს ჰყავს მოძღვარი,
გვარის თავკაცი, გვარის მშვენება,
მადლობა უფალს! შენი შემყურე, –
არ გვიწერია გადაშენება.

# ის ერთადერთი

განგება იყო ერთობ გულუხვი,
გვებადებოდნენ ერისკაცები,
არ მოუხრიათ ბოლომდე მუხლი,
ბოლომდე იყვნენ ქვეყნის დამცველნი.

მეფე-გმირსა და ჭკუით გამჭრიახს
მაღრიბ-მაშრიყით ჰყავდა ვასალიც,
მან დაქსაქსული შეკრა ქვეყანა
ის ერთი იყო, ის – გორგასალი!

არჩევანის წინ იდგა პირისპირ, –
ან თავდადება, ანდა – ღალატი,
მან თავდადება ჩათვალა სწორედ,
ის ერთადერთი იყო – თევდორე!

იყო ბრძენი და სიტყვაკაზმული,
ბოლოს ჩაიცვა დესპანის კაბაც,
უპირველესი ჭირისუფალი
ის ერთი იყო სულხანიც-საბაც!

ბევრი ვიცვალეთ პატრონ-ბატონი,
ცოტ-ცოტა ყველას თავის წვლილი აქვს,
თუკი ქვეყანას ჰყავდა პატრონი,
ის ერთი იყო – დიდი ილია!

კვლავ იმ „ერთადერთს“ ვახსენებთ მრავალს:
ცოტნეს, ერეკლეს, გიორგის, თამარს,
ქეთევანს, – იყო გმირობა მათი
ჭეშმარიტება და არა მითი,

და ქართველობის დიდი გვირგვინი, –
თავი და თავი – დიდი დავითი!

. . .

იქნებ დროა, რომ დავფიქრდებოდეთ,
გვფარავდა მართლაც უფალი-ღმერთი,
ვინ ვიქნებოდით, სად ვიქნებოდით,
რომ არ გვყოლოდა ის – „ერთადერთი“?!

# ᲓᲠᲝᲘᲡ ᲤᲔᲠᲘᲡᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐ

დრო გადასხვანაირდა,
დრომ ფეხმძიმედ იარა,
დრომ ახალი დრო შობა, –
დრომ მოიმშობიარა.

ახალშობილს სჭირდება
გაიმაგროს ფესვები
მართოს მთელი ქვეყანა
მისი კანონ–წესებით.

ძველმა ვერ იკანონა,
ვწერდით, ვცვლიდით, ვნანობდით,
და იწელ-იწერება
მერამდენედ კანონი.

ხალხს კი გული ელევა
მოთმინებით, ლოდინით,
საშოვარზე გასულებს
ენატრებათ ლოგინი.

... და ამ დღემდე მოვედით
გაჭირვებით, ვაებით,
კარგს არაფერს მოველით
კრედიტებით, ვალებით.

ვალებში ვაგირავებთ
სახლ-კარს მამა-პაპეულს,
მოდის გადამთიელი
და ყიდულობს ჩვენს მამულს.

მომხდურმა იქირავა
ქართველ კაცის გონება
მასვე დაათმობინა
საკუთარი ქონება.

ჩაგვიტარა რიგ-რიგად
დრომ ცალ-ცალკე ილეთი,
ყველას ჩამოგვირიგა
საგამოცდო ბილეთი.

...
ბევრჯერ დაგვიძლევია
ძნელბედობაც, წამებაც,
ამჯერადაც გავუძლებთ
დროის ფერისცვალებას!

# ᲡᲮᲕᲐ ᲛᲝᲜᲐᲢᲠᲔᲑᲐ ᲡᲪᲝᲓᲜᲘᲐ

ნატვრისთვალს ბევრი ნატრულობს,
ნატვრის ახდენა სურს,
სხვა მონატრება სცოდნია
ქართველი კაცის გულს.

უცხო მხარეში ყოფნისას
სახლისკენ იწევს სულ,
სხვა მონატრება სცოდნია
ქართველი კაცის გულს.

დიდხანს ვერ სტოვებს საყვარელს,
სულ მასთან ყოფნა სურს,
სხვა სიყვარული სცოდნია
ქართველი კაცის გულს.

მეგობარს – რჩეულ შეფიცულს
სულში ჩაუდებს სულს,
სხვა მეგობრობა სცოდნია
ქართველი კაცის გულს.

ერთგულს სიტყვის და პირობის,
ცრუ და ორპირი სძულს,
სხვა ერთგულება სცოდნია
ქართველი კაცის გულს

დაეძებს ნანატრს დიდი ხნის,
პოულობს დაკარგულს,
სხვა მონატრება სცოდნია
ქართველი კაცის გულს.

# ჩემი სოფლის სურათი

სოფელი: რიჟრაჟი, აისი,
მამლების გადაძახილი,
ადრიან დილით გაისმის
ბღავილი სოფლის ნახირის.

თენდება, კერა იღვიძებს,
ბუხარში ჩნდება კვამლი,
პირველი მახარობელი, –
პირველი ხნულის კვალი.

ხვნა-თესვა, მკა-კალოობა,
სოფლის ხვავი და ბარაქა,
ოჯახის ჭერის დალოცვა,
სავაჭროდ წასვლა ქალაქად;

ჩუმ-ჩუმად იპრანჭებოდა
მორიდებაში მყოფელი, –
წელწადში ერთხელ ნავაჭრით
ტანშემოსილი სოფელი.

ბავშვობიდან თან დამყვება
ვით მხატვრის ხელით ნახატი, –
სურათი ჩემი სოფლისა,
ნაირფერებით ნაქარგი:

გორები, მინდორ-ველები,
ხევ-ხუვები და ჭალები,
გაფხულში მდინარის პირას
სარეცხს რეცხავენ ქალები.

# ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘ

დროდადრო ამოლაგდება
ბავშვური ხსოვნის კადრები:
კადრები ნაირ-ნაირი,
თალხიც და ფერად-ფერადიც,
კადრებს უნებურ-ნებისად
თურმე ვჭრიდი და ვკერავდი.

და აკინძულა კადრები
წლების და დროის ნიშნით,
და კეც-კეც ჩალაგებულა
მეხსიერების სკივრში.
ოთხი დროს მოსვლა-წასვლისა
იწერებოდა დავთარი:
გაზაფხული,
ზაფხული,
შემოდგომა,
ზამთარი.

შრომობდა დიდი-პატარა,
იხვნებოდ-ითესებოდა,
ბეღლები ივსებოდა და
სოფელი ძლიერდებოდა.
და ისევ კადრი, ფერმკრთალი,
სიძველის ერთი ბორბალი, –
კალოზე კევრი ტრიალებს
და ილეწება ხორბალი.

ესეც კადრია: დრო იყო, –
ომის შემდგომი სოფელი,
და უსასრულო ლოდინი
შინმოუსვლელის მშობელის.

გაუსაძლისის გაძლება
ადამის მოდგმის გენშია,
ჭირ-ვარამ გადატანილი
კვლავ გაიმართა წელშია.

მეხსიერებას შემორჩა
გაუხუნარი კადრებიც:
ახალგაზრდობა, სილაღე,
სიყვარული და ვარდები,
ქორწილი, ნიშან-ძეობა,
ლოდინი მახარობლების,
სიძე-პატარძლის გასინჯვა,
ცრემლი ბედნიერ მშობლების....

დავიწყებასაც მიეცა
ბევრი ჩავლილი ამბავი,
და ისტორიას ჩაბარდა
მაშავერას წყლით ნაბანი.

გაუქმდა, აღარ არსებობს,
ჩავლილად ესეც ჩავთვალე, –
სოფლის ორღობის ბილიკი, –
დიდი შარაგზის სათავე.

# მოხუცი მეზობელი

მყავდა კარის მეზობელი,
ღრმად მოხუცი-დღენაკლება,
წლებგაძარცულს შერჩენოდა
სიკერპე და ახირება.

ერთხელ ვნახე, ცულით ხელში
ფაცფაცებდა კუნძთან ახლოს,
უსუსური ძალით დარტყმა
არ სტოვებდა კვალს და „ნახმლევს“.

აუხირდა: – შენ მაჯობო?
არ ვყოფილვარ მაშ კაციო,
მიყურე შენ, ერთი დარტყმით
ქუცმა-ქუცმა არ გაქციო!

ბერიკაცი აღარ არის,
საცოდავი მოკვდა უცბად,
ანდერძივით დამიტოვა
ძირქართული – „ქუცმა-ქუცმა“.

# მუზეუმი

აქ სიჩუმეა, აქ სიწყნარეა,
რიდი, სიმშვიდე და მოკრძალება,
შედიხარ, ხვდები სხვა სამყაროში,
გიპყრობს გარემოს იდუმალება.

დადიხარ როგორც წმინდა ტაძარში,
აქ თითო ნივთი თითო განძია,
აქ იკითხება რკინაშიც, ქვაშიც, –
თითო გელათი, თითო ვარძია.

ცხადში ხარ, თუმცა, გგონია ხილვა, –
თვალწინ ცოცხლდება მიწისქვეშეთი.
გინდა განუდგე ცხადს – როგორც სიზმარს,
და, ისტორიის ფსკერზე ეშვები...

კვლავაც გაიღებს მიწისქვეშეთი
მრავალ საგანძურს – ნაშთს ძველთა ძველის,
კვლავ ჩაიბარებს – როგორც პატრონი
მათ მუზეუმი – ერთგული მცველი.

# ᲓᲐ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲘᲜᲝᲖᲐᲕᲠᲘ

... და მოვიდა დინოზავრი,
შორეული, უცხო მგზავრი,
დაისვენა, დაახანა,
მოეწონა ,,ბინა“ ფრიად, –
თბილი, ტკბილი სათაფლია.

,,ლუკმა პურის“ ძიებაში,
გოლიათებთან ბრძოლაში,
ძალით, ნებით, უნებურად,
გადაიქცა ,,ჩვენებურად“.

და, როდესაც მიგვატოვა,
როდის, რატომ, გაჩნდა ეჭვი,
მან – ყოველის მბრძანებელმა,
მან – ყოველის მქონებელმა,
სამახსოვროდ დაგვიტოვა
მხოლოდ ფეხის ანაბეჭდი.

# თბილისური სერენადები

ეს ამბავი გამიგია
ძველი თბილისელისაგან,
სიტყვებიც და მონაყოლიც
დაცულია ზუსტად ჩემგან:

– ასეთი რამ დღეს არ ხდება,
წინათ იყო ტრადიცია,
დადიოდნენ ქუჩა-ქუჩა
გიტარით და სიმღერებით,
ქართულ-ქალაქური ხმებით,
მღეროდნენ, ო, რას მღეროდნენ,
ძმაბიჭები-მეგობრები,
და ნაღდი თბილისელები.

როგორც კი გაისმოდა
სერენადის ჰანგები,
ბოლომდე იღებოდა
მეზობლების ფანჯრები.

ერთხელ, მახსოვს, ფანჯრიდან
გოგომ გადმოიხედა,
ისეთ გოგოს მშობელი,
არ უშვებდა სახლიდან,
ნახე, რა მოიფიქრეს, –
გააკეთეს უცებ „კიბე“,
(გეუბნები თვალით ნახულს),
ერთმანეთის მხრებზე დადგნენ
და მიართვეს ვარდი ასულს,
– ეს თქვენ, ჩვენგანო, ლამაზო,
და უმღერეს „მუხამბაზი“, –
„გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ“!..

ასე იყო უწინა,
თითონაც ხო მღეროდნენ,
თან ხალხსაც ახარებდნენ,
ხალხიც ეფერებოდა
და უკრავდა ტაშს,
ეგრე იყო, მააშ!

# სადღეგრძელო

ეს გაუმარჯოს არქეოლოგებს,
შემოგვინახეს ძმაკაცებს – „ლოთებს“,
დოქი,
ხელადა,
კოკა,
ფიალა,
კოჭობი,
ქოცო,
ამით, კი ძმებო:
ვინც გამოძერწა,
ვინაც გამოქნა,
მათი შრომა და
მარჯვე მარჯვენა
მოდით, დავლოცოთ!

# ტირიფი

მე ხეებს შორის ტირიფი მიყვარს,
გაღვიძებულიც თოთო ყლორტებით,
ჩამოვარცხნილიც ლამაზ ფოთლებით
და კოჭებამდე დახრილ ტოტებით.

მიყვარს იერით, სიდარბაისლით,
მასპინძელივით, რომ ხვდება „სტუმრებს“,
ტირიფი იყო, არის, იქნება
საიდუმლოთა მესაიდუმლე.

აქ, ტირიფის ქვეშ შეყუჟულ წყვილებს
გვფარავდა მწვანე და „ყრუ კედელი“,
გვიცავდა როგორც – კრუხი წიწილებს, –
ტირიფი ჩვენი ნავსაყუდელი.

ტირიფი თავის ფარულ „ურდულით“
იმ დროს მოჰგავდა ცალკე მდგარ კუნძულს,
და ეწყობოდა წყვილთა ჩურჩული
ჩუმი ფოთლების შრიალა ჩურჩულს.

გულწრფელ სიყვარულს, ეჭვებიც ახლავს,
აქ ერთგულების ისმოდა ფიციც,
დიდ სიყვარულს ხომ სიკეთედ დაჰყვა, –
პატიებაც და დათმობაც იცის.

ვდგავარ ტირიფთან მე ახლა კენტად,
ვიხსენებ სატრფოს ცრემლით, ტკივილით,
ალბათ, წარსული თუ გაახსენდა,
ჩემთან ერთად რომ ტირის ტირიფიც.

კვლავ შემხვდა ნაცნობს, დღეს უკვე სტუმარს,
კვლავაც გავენდე განმარტოებით,
და ვტოვებ ტირიფს – წყნარსა და მდუმარს,
კვლავ კოჭებამდე დახრილ რტოებით.

# ᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲔᲡᲢᲣᲛᲠᲐ ᲚᲔᲥᲡᲘ

ათი წლის შემდეგ მესტუმრა ლექსი,
სიდარბაისლით, ჩვეულ ქართულით,
სუფრასთან ორნი დავსხედით, შევსვით,
კვლავ შეხვედრის და სიტყვის – არ თქმულის.

სტუმარ-მასპინძლის ადათით ძველით,
ალავერდით და სურვილით დიდით,
ლექსი – სტუმარი, მე – მასპინძელი
სასმისს-სასმისზე ზედიზედ ვცლიდით.

გავტეხეთ ღამე... გამთენიისას,
როს უნდა მეთქვა ჯერაც არ თქმული,
იჯდა დესპანი პოეზიისა
და არ ესმოდა ჩემი ქართული.

# მეზღვაური

მეზღვაური – მოგზაურია
გასავლელი მანძილით,
მეზღვაურობა ორგვარია, –
ნაპირული და ხანგრძლივი.

მეზღვაური თან ტვირთს ატარებს,
ხან მსუბუქს და ხან – მძიმეს,
უნდა ზიდოს ბოლომდე,
რაც არ უნდა დამძიმდეს.

ზოგს წინ გრძელი გზა ელის,
ზოგს კი – მოკლე შარაგზა,
ასე გალევს ყოველი
წუთისოფლის სავალ გზას.

# საზიარო ცრემლი

ხშირად ცრემლიც აქვთ საზიარო ადამიანებს,
ხან სიხარულის, უფრო მეტად – მწუხარებისა,
ის არც სიხარულს და არც წუხილს არ ახმიანებს,
უხმოდ მოდის და უხმოდ მიდის თავის ნებისად.

ადამის მოდგმის უსასრულო ერთ-ურთ ჭიდილში,
და უკურნებელ ბოროტების, შუღლის, მტრობისას,
განსაცდელის ჟამს საერთოა ყველას ტკივილი, –
ადამიანებს ცრემლებიც აქვთ თანაგრძნობისა.

სხვისი ტკივილის გატარება საკუთარ გულში,
ღვთის წყალობას და ღვთიურ ძალას ჩაუნერგია,
რომ საზიარო ცრემლიც არის ამის დასტური, –
ადამის მოდგმა – ერთი ფესვის ერთი ნერგია.

# სიცოცხლის ანატომია, ანუ, კვლავ დაიწყება თავიდან

ვართ უთვალავი არსება,
არის სხვაობაც, მსგავსებაც,

ვინ ვისი ძირი-ფესვია,
ვინ ვისი დანათესია,

და, ვინ-რა სულიერია,
კაცი, ცხოველი, მწერია,

ბუნების დანაბადია,
ღვთით ბოძებული მადლია,

სიცოცხლე დროებითია,
თვით უკვდავებაც მითია,

მოვიდა, იყო, წავიდა,
მისი მოსვლის დრო გავიდა,

წესია, ვისაც სული აქვს,
დასაწყისს დასასრულიც აქვს, ...

მერე იწყება თავიდან,
ისევ იწყება თავიდან,

კვლავ დაიწყება თავიდან,
და უსასრულოდ – თავიდან...

# ᲐᲬᲛᲧᲝ-ᲬᲐᲛᲘᲐ

„აწმყო საბოლოოდ მხოლოდ ერთი წამია“.
ნეტარი ავგუსტინე

წუთისოფელში რაც გვერგო წილად, –
წლები მცირე, თუ – წლები მრავალი,
სიცოცხლე სამად გაგვინაწილდა:
წარსული, აწმყო და მომავალი.

აწმყოში ვცხოვრობთ სულ ერთი წამით,
ეს წამიც წამში ქრება, გვშორდება,
წარსულს ბარდება განვლილი წამი
და არასოდეს არ მეორდება.

დრო დროს გვიზომავს წამმზომით ხელში,
გვიზომავს დღისით, გვიზომავს ღამით,
და ჩვენთვის კუთვნილ, ბოძებულ დროშიც,
აწმყოსთან ვრჩებით სულ ერთი წამით.

ჩვენი სიცოცხლის წარსული-აწმყო
განიზომება სულ ორი წამით:
განვლილი წამი ეკუთვნის წარსულს,
მომდევნო-აწმყოს, კვლავ ერთი წამით.

# მარადიული სული

განგების ნებით ერთხელ გაჩენილს,
შემკულს სულით და გულით,
იმქვეყნად წასულს აქ რა დაგრჩება,
იმად ხარ ფასეული.

უზომო შრომის მატარებელი
იყო, იქნება გული,
მაგრამ, მასაც აქვს დრო და ლიმიტი,
დასაწყის-დასასრულის.

მარადიული მხოლოდ სულია
შემკული სიბრძნით სრულით,
რაც ცოცხალია, რაც წარსულია,
ისიც ფასდება სულით.

და იქნებოდა სამყარო მხოლოდ
უაზრო საგანთ-გროვა,
მატერიების სავაჭრო დახლი,
სასწორის ზომა-წონა.

რომ არა სული – წმინდა ტაძარი,
ყოველის შემოქმედი,
ჭირისუფალი და განმკითხავი
ყველას ხვედრის და ბედის.

ის ერთადერთი არს ზე-მსაჯული,
ყველა მსაჯულთა შორის,
მარადიული, უკვდავი – სული,
მდაბალიც, ცათასწორიც!

# ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲘ-ᲪᲮᲐᲓᲘ

დამესიზმრა, სულს ებრძოდი,
არსად ჩანდა საშველი,
ხელს მიწვდიდი, ერთადერთი
ვიყავ შენი მაშველი.

მოვდიოდი უკაცური,
უცხო ულელტეხილით,
უგზოობით მოვდიოდი,
გზით – მთებში ჩაგრეხილით.

მთებს შევები – ცამდე აწვდილთ,
ცით რომ გადმომეხედა,
ფეხდაუდგმელ მთებს ვებრძოდი,
მთები რომ გამეხედნა.

ზღაპრულ გმირად გადვიქეცი,
მთები „მივწი-მოვწიე“,
სურვილი რომ შეგისრულო,
შენამდე მოვაღწიო.

ცოტაც, ცოტაც, მოვიტოვებ
უკან მანძილს დარჩენილს,
გადავტეხე ქარი წელში,
ვერაფერი მაჩერებს...

შენ სულთმებრძოლს მოგისწარი,
ხელი გქონდა გაშლილი,
ცხადში აღმოვჩნდი სიზმრიდან
წამოსული მაშველი.

# არ ისროლოთ, ძმები ხართ

ოდითგანვე ტყუპისცალნი
სულ ერთობით მოდიხართ,
ერთი ცის და
ერთ მიწა-წყლის
შვილები ხართ,
ძმები ხართ.

მოშურნემ და მოძალადემ
თქვენი გაყრა ისურვა
გადაგკიდეს ერთურთს ძალით
და ძმებს მტრობა გისურვეს.

უმიზნოდ და უმიზეზოდ
ყველა ტყვიას ისროდა,
ბრძოლის ველზე, ჰოი, ღმერთო,
თურმე, ესეც ისმოდა.

– აფხაზი ხარ?
ქართველი ვარ,
არ მესროლო,
ძმები ვართ.

– ქართველი ხარ?
აფხაზი ვარ,
არ მესროლო
ძმები ვართ.

აფხაზი ხარ?
ქართველი ხარ?
არ ისროლოთ,
ძმები ხართ!

# ბერიკები

თუ ვტირით და თუ ვიცინით,
ნუ დაგვძრახავთ ამაში,
ცხოვრებაა თავისთავად
უცნაური თამაში.

გვაქვს სახეზე მორგებული
სამუდამო ნიღბები,
და ვქანაობთ ბეწვის ხიდზე
ჩვენ ჩვენი ბედ-ილბლებით.

ეს ნიღბები რასაც ნიშნავს,
კარგად მოგეხსენებათ, –
ჩვენ ვიქეცით ბერიკებად
და „კეთილ“ მოჩვენებად.

ხან კრავი ვართ, ხან – კურდღელი,
ხან – მგელი, ხან – მელია,
ნუ ეცდები გამოიცნო
ცხადში ვინ რომელია.

ხან ხტუნვით და ხან სირბილით,
უფრო მეტად – ძუნძულით,
ერთმანეთის მიბაძვით და
ერთმანეთს ახუნძლული,

გამოგონილი სცენარით
გამოვდივართ „სცენაზე“
და უტექსტო როლს ვთამაშობთ
ბერიკების ენაზე.

და, როდესაც ამ სცენაზე
თამაშით დავიღლებით,
ვკვდებით როგორც ბერიკები
და თან მიგვაქვს ნიღბები.

# უკვდავი სახეები

როცა იხსენებ სახელებს,
სახეებს ქართულ გენისა:
აკაკის, ვასოს, ვერიკოს, –
ლეგენდებს ქართულ სცენისა,
უშანგის, სერგოს,ეროსის, –
ჯადოქრებს ქართულ ენისა.
გწამს სულის უკვდავებისა
ბრძენი ქართველი ერისა.

ვიგონებ უკვდავ სახელებს,
უნახავ-ნანახ სახეებს:
გიორგის, სანდროს, სესილის,
პიერს, შალვას და ვახტანგის,
მედეას, ბელას, რამაზის,
დოდოს, ელენეს, ნოდარის,
ირაკლის, კარლოს, ოთარის,
ლამაზ წყვილს: კოტეს-სოფიკოს,
ლექსს-საღარაძის ქართულს,
კვერენჩხილაძის ასულს,
და კიდევ მრავალ წასულს....
. . .
და სინანულით იხსენებ,
სახეებს ქართულ გენისა,
ლეგენდებს ქართულ სცენისა,
ჯადოქრებს ქართულ ენისა...

ვერ გაგიგია, რა მოხდა,
საგონებელში ვარდები,
თითქოს დიდი ხნით დაეშვა
ანტრაქტის მძიმე ფარდები,
მათ შემდეგ ქართულ სცენაზე,
აღარ ჩანს მათი აჩრდილი –
და აღარც მკრთალი ლანდები.

## ᲘᲐᲕ-ᲜᲐᲜᲐᲡ, ᲕᲐᲠᲓᲝ-ᲜᲐᲜᲐᲡ

დაიფოთლა ქართული
უცხო სიტყვის ფერებით
დაიქსელა ზარები
არაქართულ ბგერებით.

კაცს კაცისა არ ესმის
ნათქვამი და ამბავი,
უსმენ და არც შენ გესმის
მშობლიური ანბანის.

მერე ხვდები, „ახლები“
რუსთაველზეც, ვერაზეც
ახლებურად „ბაზრობენ“
უცნობ ქართულ ენაზე.

სანატრელი გაგვიხდა
სიტყვა მამა-პაპური,
შეურაცჰყვეს, დაჯიჯგნეს
ბრძენი ენა-ქართული.

ფრთხილად! ჯერაც გონს მოდი,
დრო – სულგრძელი კვლავ გაცლის,
„იავ-ნანას, ვარდო-ნანას“
სხვა ენაზე ნუ გაცვლი!

# პასკვილი „კაზანტიპს“

2014 წლის 25-31 აგვისტოს საქართველოში,
ანაკლიაში ჩატარდა „კაზანტიპის” ფესტივალი.

არა დამსვენებლებზე,
ზღვისპირას, ზღვის დონეზე,
ეს პასკვილი მოგითხრობთ
„კაზანტიპის“ მონებზე.
„მასტერ – კლასებს“ გვპირდება
„კაზანტიპის“ კრებული, –
არაამქვეყნიურით
ტვინით დაბანგებულით.
თურმე, ჩვენ ვერ ვამჩნევდით
მზის ჩასვლას და ამოსვლას,
თურმე, სულზე მოგვისწრო
„კაზანტიპის“ ჩამოსვლამ.
ქართველს უნდა ასწავლონ, –
პლაჟზე, ზღვაში განბანილს,
ზღვის პირას დასვენება,
ზღვის ტალღების ანბანი.
ანდა – როგორ ფორმდება
ერთი სქესის და წყვილის,
ერთი დღის ნაცნობთათვის
„ბედნიერი“ ქორწილი.
როცა გაშიშვლდები და
ველარ გფარავს ტრუსებიც,
თურმე, უკეთ აღიქვამ
ჰანგებს მაღალ მუსიკის.
როცა თავი ჰგონიათ
ზე-ზეადამიანი,
ქვეყანას მოევლინენ
სუპერ-სუპერ ჭკვიანნი;
მხოლოდ მათ გააჩნიათ

ზე-გრძნობა და ზე-ენა,
ჩვეულებრივ მოკვდავებს
არც გრძნობა აქვთ, არც-სმენა.
როცა დაბნედილია
მუსიკის ხმის წნეხისგან,
როცა თავბრუ ეხვევა
ყალბი მანჭვა -გრეხვისგან;
როცა ისეც მთვრალია
სასმელების გარეშე,
აზრი არ იკითხება
მის უაზრო თვალებში;
ვის რა უნდა ასწავლოს
ღრუბლებში რომ დაცურავს,
კმარა, ვინც გააბრიყვა
მოტყუებით, მაცდურად.

ბევრი გადგვიტანია
ნაკლიცა და მინუსიც,
მოშორდება ქვეყანას
„კაზანტიპის" ვირუსიც.
ვით ფერადი ბუშტები
მაღლა ცაში წასული,
იმ ბუშტივით გასკდება
„კაზანტიპის" წარსულიც.
წაიშლება სიტყვები
სიყვარულის ფიცისა,
„კაზანტიპიც" გაქრება
პირისაგან მიწისა.
შენ კი – ტიპს „კაზანტიპის"
გზააბნეულ არსებას
ბოლოში გელოდება
სრული ჩამოფასება!

*   *   *

რა საბრალოა ხარბი კაცი, გაუმაძღარი,
უკურნებელი სენით არის მუდმივად ავად,
და ავადმყოფი ტვინის ხვეჭის ცალფა უჯრედით
ის ისე მოვა ამ ქვეყანას და ისე წავა,

რომ ვერ გაიგებს აზრს და მიზანს ამქვეყნად ყოფნის,
მისთვის უცხოა მიწიერიც და სულიერიც,
არ ენაღვლება გაჭირვება არც ამა სოფლის,
არც ავადმყოფის, არც ობოლის და არც მშიერის.

ბევრი გვინახავს ყელამდე სავსე,
და მათზე მეტნი სხვანი და სხვანიც,
ოხრად რომ რჩებათ ხარბად ნაშოვნიც
და ოქრო-ვერცხლის კრიალოსანიც.

# ᲡᲐᲐᲠᲡᲔᲑᲝ ᲙᲐᲚᲐᲗᲐ

ჭირს, ცხოვრება გაჭირდა,
გიჭირს ამის არა თქმაც,
ერთი ათად გაძვირდა
საარსებო კალათა.

ჩაქრა, სულ მთლად გაცივდა
ბუხარი და საკვამლე,
უფრო მეტად დამძიმდა
ქალის მძიმე საპალნე.

ქალი იყო საფიცრად,
როგორც დედა-მშობელი,
ახლა ქალი გადიქცა
ლუკმა-პურის მშოვნელად.

ქალი ასწრებს ყველაფერს:
შრომობს, ილვწის და იბრძვის
დღე და ღამეს ასწორებს
სარჩო-საბადებლისთვის.

სანატრელი გაგვიხდა,
გვექცა ზღაპრად-არაკად,
ქალს ქალის საქმე ჰქონდეს,
ოჯახს – სავსე კალათა.

* * *

ადამიანი გვიან ბრძენდება,
გვიან გებულობს ცხოვრების მორალს,
და, ისე დიდხანს, დიდხანს გრძელდება
ბედის გამოცდა და ბედთან ბრძოლა, –

რომ, სანამ სრულად მოვალთ ჭკუაზე,
დაბინდულ თვალებს გავახელთ ფართოდ,
ჩვენი ცხოვრებაც წყდება შუაზე
და შუა გზაზე დავრჩებით მარტო.

და მერეც, თურმე, არ გაქვს უფლება
აირჩიო და იმ გზით იარო,
შენ სიმარტოვე დაგეუფლება,
და სინანულის მოგკლავს იარა!

*    *    *

„ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ”
*დეკარტე*
ფრანგი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი,
ფიზიკოსი, ფიზიოლოგი.

საკუთარ თავთან დიდხანს დაობდა,
სწუნობდა თავის ნათქვამს, ნააზრევს,
და არ ყოფნიდა გამბედაობა
ეთქვა: „ვარსებობ ამ ქვეყანაზე“.

ნუ აჩქარდები ამცნო სამყაროს
შენი გაჩენა და არსებობა,
ერთადერთია შეცნობის წყარო, –
შენი ქმედება და აზროვნება.

*   *   *

რაც უნდა თხარო,
ებრძოლო, ქექო,
ვერას დააკლებ
გენიის ექოს:

მას არ სწვავს ცეცხლი,
მას ვერ კლავს ტყვია,
მას – მიუწვდომელს
გენია ჰქვია.

ეს დონ-კიხოტმა
მასწავლა ბრძენმა,
სერვანტესისამ, –
და კიდეც – ჩვენმა.

# ფიქრები ჩარჩოში

კაცის ფიქრი კაცურია,
ქალის ფიქრი – ქალური,
რაც ნაღდია, დაცულია,
გულში გადამალული.

კაცის გრძნობა ძლიერია,
ქალის – ათჯერ ძლიერი,
ზოგი კაცი ცბიერია,
ქალი – ასჯერ ცბიერი.

მათ ცდუნების მოსდგამთ წამიც, –
ვნების კვალიც აცხიათ,
კაცის ძალა ქალი არის,
ქალის ძალა – კაცია.

ადამწლიდან ადევთ ვალი
ამ მთისა და ბარისა,
ნახევარი კაცის არის,
ნახევარი – ქალისა.

ეწევიან ერთად უღელს
და ამ მუდმივ ჩარჩოში, –
ვხედავთ ზოგჯერ მხნეთ, მოუღლელთ,
ვხედავთ ზოგჯერ დაჩოქილთ.

ხან შიათ და ხან სწყურიათ,
სხვისთვის არის მალული,
კაცის ფიქრი კაცურია,
ქალის ფიქრი – ქალური.

# ვინ იცის, იქნებ აგვიხდეს...

ნეტავი ფიქრს წინ რა უდგას,
გასხლტება, გაინავარდებს,
ფიქრს ფიქრიანი გზა უნდა,
გზას ნაფიქრალი ავარდეს....

გზას ფიქრი ისე უხდება,
ვით ლამაზს მძივი ყელსაო,
ვინ იცის, იქნებ აგვიხდეს, –
ან ღამეს, ანდა – დღესაო.

*   *   *

მთელი ცხოვრება უთქმელად ვიწვი,
ვიწვი ჩუმ-ჩუმად, როგორც სანთელი,
ღმერთმა იმდენი არ მომცა ნიჭი,
რომ ლექსად მეთქვა ჩემი სათქმელი.

ქუჩაში ზღაპრულ ფერთა გარემოს
ვუმზერ ჩარჩოდან ჩემი სარკმელის,
ღმერთმა არ მომცა მხატვრის ნიჭი, რომ
ფუნჯით, ფერებით მეთქვა სათქმელი.

მე ველარ ვუსმენ ჩემს გულის ფეთქვას,
არც უსიტყვოდ ვარ პულსის დამთვლელი,
იმდენი ნიჭიც არ მომცა ღმერთმა,
მუსიკით მეთქვა ჩემი სათქმელი.

და მაინც, როგორ მინდოდა მეთქვა
სათქმელი: ლექსით, მუსიკით, ფუნჯით,
მას სიყვარული სახელად ერქვა,
და მის წინაშე მიტომ დავმუნჯდი.

* * *

შენ ისევ მართავ
ჩემი ცხოვრების
გრძელებს-განედებს,
წლები გადის და
შენზე ფიქრი
თავს არ მანებებს.

წლები გავა და
ჩემი გულის
მიმქრალ ფიცარზე
არ ეწერება
ერთი სიტყვის მეტი –
უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.

# ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲝᲑᲐ – ᲩᲔᲛᲘ ᲮᲕᲣᲨᲘ

სიზმრად მექცა სტუდენტობა, –
ის ზღაპრული წლები,
მესიზმრება, მენატრება
მეგობრების ხმები:

კონსტანტინე, თენგიზი,
ამალია, სერგო,
ნოდარი და მარიკა,
ჯემალი და ლალი,
მენაშე და დომენტი,
გურანდა, ნუგზარი,
ლამარა და რუსიკო
და კოწო – კასპელი.

რა ულმობლად დაგვშალა
უჩინარმა ხელმა,
რა სწრაფად გაირბინა
დრომ – თვეებმა, წლებმა.

რა ვიცოდით, დრო თუ წერდა
საიდუმლო რეცეპტს,
გუშინ მერხზე რომ ვისხედით,
დღეს ერთმანეთს ვეძებთ....

.....
სიზმრად მექცა სტუდენტობა, –
ის ზღაპრული წლები,
მესიზმრება, მენატრება
მეგობრების ხმები.

# ლალი გვასალიას

სტუდენტობის წლებში მე და
ლალი გვასალია
ერთ მერხზე ვისხედით.
ლექციებზე ლალის
თოჯინებიც დაჰყავდა.

თოჯინები,
თოჯინები,
პაწია ტიკინები,
თვალხატულა დედოფლები,
ბაბთებით, კიკინებით,
არ გსურს წუთით თოჯინები
უპატრონოდ დატოვო,
თვითონ დიდო დედოფალო
და დიდო ქალბატონო.

# ეთერ ქადეიშვილს

ოზურგეთელ ჟურნალისტს, ჩემს მეგობარს

გაცნობიდან გაკვირდები
მთელი გულისყურით,
მთლად მიწიერს ვერ გიწოდებ,
შენ ხარ ზეციურიც.

მხარზე გაზის ანგელოზი
ოქროს საწერ-კალმით,
ეფერები ყოველ სიტყვას
შენეული კრძალვით.

შენს გავლილ გზას თან დაჰყვება
კვალი სიკეთისა,
ხელწერა გაქვს მადლიანი,
ბოძებული ღვთისგან.

მოგონებები მაცოცხლებს,
ნაწილ-ნაწილ ვკემსავ,
ვეფერები მე შენს სახეს
ვით მიწიერ ფრესკას.

დრო გვაშორებს ულმობელი
და მანძილი – შორი,
სულით მაინც ერთადა ვართ,
სულით – თანასწორით.

. . .
ჩემს გულს კვლავაც აჩნია
დრო-ჟამით ვერ წაშლილი,
ლამაზი ავტოგრაფი –
„ეთერ ქადეიშვილი“.

* * *

მე შენ დაგიწერ ისეთ წერილებს,
ისე ჩაგიწნავ შიგ ია-იებს,
სიტყვებს – დაქარგულთ და დაფერილებს
შენს საალერსოდ დავიყოლიებ.

მე შენ გიამბობ დიდ სიყვარულზე,
ველარ გავუძელ ამ მდუმარებას,
გახსოვს? გავენდეთ ხატზე და რჯულზე
დაბურული ტყის იდუმალებას.

მე გაგახსენებ შორეულ წარსულს,
უცნაურ ამბებს გარდასულ დღეთა,
გვიან შეიტყობ, რატომ არ მსურდა
მე უშენობით შეხვედრა მზესთან.

ო, მე დაგიწერ ისეთ წერილებს,
რომ შეგვნატროდნენ მარად წყვილები,
ვაშა! სიყვარულს გადარჩენილებს,
მე კი, შენზე დარდს შევეწირები.

* * *

არ მინანია, სიყვარული ვიგრძენი შენით,
ტანჯვა-წამების, გაუსაძლის გამოცდის ფასად,
არ დამცდენია საყვედური არც ბედის – ჩემის,
არც აღმაფრენა, არც ცდუნება, არც სიტყვა – არსად.

მთელი სიცოცხლე შევალიე გრძნობას უწმინდესს, –
რომ ყოფილიყო ერთადერთი და დაფარული,
მარადისობის ამოუცნობ ჯერაც ეტრატზე
იქნებ, ოდესმე გაიშიფროს ეს სიყვარულიც.

* * *

იმ ბიჭს ის გოგო
ქვეყანას ულირდა,
ვინც კი გაიგო
სუყველას უკვირდა:

– რამ მოაწონა?
– რამ შეაყვარა?
– თვალში ნაცარი
რამ შეაყარა?

– ესეც ბედია,
გოგოსთვის მარჯვე,
– ბიჭი მეტია
ასჯერ, ათასჯერ.

. . .
და უთვალავჯერ მოდიან წყვილად,
ერთმანეთის თავს იფიცებიან,
კეკლუცნი სალამს აძლევენ ძვირად
და თანაც გულზე იფხრიწებიან.

* * *

შენს თვალებში დავინახე
მე შეშლილი ჩემი სახე.

ასე უცებ როგორ შესძელ
ნეტავ, ჩემი გაგიჟება,
რომ, ვგრძნობ, შენი სიყვარული
მე სიცოცხლედ დამიჯდება.

ვხედავ, ჩემი წმინდა გრძნობა
შენში როგორ ირეკლება,
ვხედავ, ჩემი სიამაყე
შენს წინაშე როგორ კვდება.

შეშლილია ირგვლივ ყველა,
ყველაფერი შეშლილია,
თუ, არ მყოფნის გმირობა და
სიყვარულის მეშინია?

ბრძოლა მჭირდა ზღვას და ხმელეთს,
ჯერ ბრძოლა არ წამიგია;
მაშ, რატომ ვყრი ფარ-ხმალს შენთან,
ვერაფერი გამიგია.

წამიგია, ვაჰ, დედასა!
ბრძოლა მაინც წამიგია,
ყველა ფიქრი და ოცნება
შენს ფერხთ უხმოდ დამიგია.

არეულა, დარეულა,
სიზმარი და ცხადი ერთად,
და მოვსულვარ სალოცავად
შენთან – როგორც ხატთან-ღმერთთან.

შენს თვალებში დავინახე
მე შეშლილი ჩემი სახე!

* * *

ჩუმად, მორცხვად, კრძალვითა და რიდით,
მე მეწვია სიყვარული დიდი.

ფრთხილად, ფრთხილად, უსიტყვოდ და უხმოდ,
შეგიყვარე, და ვგრძნობ უფრო, უფრო

მეყვარები, მეყვარები მაგრად,
მაგრამ, – შორით, მაგრამ, – ჩუმად, რადგან:

ვიცი, ბოლოს გულს შერჩები დამღად,
ოცნებებიც გადაიქცა ცრემლად,
და, მხოლოდ ლექსს, – შენს თვალებზე ნამღერს,
დავიტოვებ სიყვარულის მძევლად.

# უნდა მოვასწრო

წამწამთა შორის მანძილი
თუმც, მხოლოდ ერთი წამია,
უნდა მოვასწრო, ერთ წამში
მოგტაცო ორთავ თვალია.

მოგტაცო, გადავატარო
ცხრა ზღვა, ცხრა მთა და ბარია,
წინ ნურვინ შემომეყრება,
ვისაც ებრალვის თავია.

უნდა მოვასწრო ერთ წამში
თვალთ ჩაგისახლდე ლამაზო,
და სიტყვა ჯერაც უთქმელი
მხოლოდ შენ შემოგთავაზო.

# არ ეცადო

ქვა არა ვარ – მთალო, მკოდო,
რკინა არ ვარ – გამომჭედო,
ცეცხილი არ ვარ – რომ ჩამაქრო,
ხე არა ვარ – გამომჩორკნო,
ჩემი გულისძგერის მაქოს, –
სათავეა სულ სხვა წყარო,
არ იფიქრო – გამომცვალო,
ერთხელაც არ შეეცადო,
არ ეცადო,
არ ეცადო!

* * *

მალავ, მაგრამ, ვერ დამალავ
მაგ სევდიან თვალებს,
ბევრი რამ აქვთ საიდუმლო
ვიცი, ქვეყნად ქალებს.

სულ გინდა რომ მომაჩვენო,
რომ ხარ ბედნიერი,
მაგრამ, სულ სხვას მიმანიშნებს
მაგ თვალთა იერი.

ტანზე ჯერაც არ გაცვია
ძაძები და შავი,
მაშ, რადა გაქვს თვალთა უპე
სავსე კაეშანით?

მალავ, მაგრამ, ვერ დამალავ
მაგ სევდიან თვალებს,
თუმც, ბოლომდე ვერ გაგშიფრე,
რას გაუგებ ქალებს?

## ც. მ.-ს

სულით კეთილს გებრძვიან
სულით სულ-ბოროტები,
ჭკუით იდიოტები,
ნამცეცა იოტები,
ჭინკა კოიოტები.

სულით კეთილს დაგიცავს
უფლის ხელი კეთილი,
და, შენთვის დანთებული
სანთელი – დაღვენთილი.

# ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲮᲣᲪᲘᲡ
# ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲘ ᲪᲠᲔᲛᲚᲘ

ეჭვი განვდევნეთ მტრების ჯინაზე,
და მოვიშუშეთ ეჭვის „ჭრილობაც“,
ბედის სასწორის ტოლ-სწორ პინაზე
ჩვენ ერთგულების დავდეთ პირობა.

არავისი გვაქვს ამქვეყნად ვალი,
ვართ შეფიცულნი უროთი-გრდემლით,
და ჩვენი ფიცი არის მართალი, –
როგორც მოხუცის გულწრფელი ცრემლი.

*  *  *

კოშკში ზის ნინო ლამაზი,
ბულალაურის ქალია,
შეუვალია კედელი,
დაგმანული აქვს კარია.

მოუტაციათ ძალისძალ,
და სამუდამო ტყვე არი,
ნინოს ცრემლების შემყურე
ირგვლივ მთა-გორა, ტყე არი.

ნინოს დარი და სწორფერი
არ იყო ირგვლივ ხალხშია,
ხელუხლებელის შეხება
ვის მოუვიდა თავშია.

გამწირა განგებამ როცა
მოწმედ მაქცია ამ დღისა,
ყოფილა, არის, იქნება
ქვეყანა ცოდო-მადლისა.

* * *

მე რომ ვარსებობ – შენ ნერვებს გიშლის,
შენ რომ არსებობ – მე ვცოცხლობ შენით,
ვიცი, არა ვარ მე შენი ღირსი,
არა ვარ შენთან გამოსაჩენი.

მე კი, ბოლომდე მოვიხდი ჩემს ვალს,
მიზანში ვერვინ შემეცილება,
თუ ვერ მივაღწევ სანუკვარ მწვერვალს,
ჩემს სიყვარულს ხომ შევეწირები!

* * *

არც მირეკავ და აღარც მწერ,
არ ვიცი, სადღა გეძიო,
როდის წავიდეთ არაგვზე,
ან, ჩარგალს როდის ვეწვიოთ.

დაგლანდავ, წამს ხელს დაგავლებ,
გაგხიზნავ უვალ გზებითა,
სასთუმალს ბროლით მოგირთავ,
ვარსკვლავთა გიზგიზებითა.

კიდეც დაგიკრეფ ყვავილებს,
კიდეც ჩაგიწნავ თმაშია,
დღისით – მზით დაგიფერავებ,
ღამით კი – მთვარით მთაშია.

* * *

დაგეძებ ყველგან:
ცხადში, სიზმრად, ჩუმად, დაზვერვით,
მაგრამ, ვრწმუნდები, ამაოა ძებნა სრულიად,
რომ ჰორიზონტის უსასრულო სწორი ხაზივით
შენკენ სავალიც უსაზღვრო და უსასრულოა.

*   *   *

შენ სულ უსიტყვოდ და შეუმჩნევლად
მოხველ და წახველ შენი ნებისად,
და დამიტოვე ეულად, მძევლად,
უფლება შორით მდუმარებისა.

# საყურე

ვარსკვლავი მთვარეს
ისე აზის რქაზე,
თითქოს საყურეა, –
დაკიდული ცაზე.

ეს საყურე შენთვის
მოვიძიე ცისას,
და შეგამკე უმალ,
შენზედ ოცნებისას.

*   *   *

ღამით მთვარე გამოვგზავნე
შენთან ამბის მოსატანად,
ზოგს ზეპირად ვაბარებდი,
ზოგსაც გწერდი გზა-გზა უცებ,
და, მძინარეს რომ გეხილა
სიზმრად ჩემგან მონაწერი,
მთვარემ ფრთხილად დაგილაგა
სასთუმალთან ფურცელ-ფურცელ.

# სვანეთი

სავანეთია სვანეთი,
სვანეთი სავანეთია,
მის ზემოთ ჭერი არცერთი,
მის ზემოთ მხოლოდ ღმერთია.

აქ ყველაფერი წმინდაა, –
მიწის და ზეცის ნაზავი,
აქ სხვა რწმენაა: სიწმინდის,
ლამპრობის, ჯვარის და ზარის.

სტუმარი აქ ნატრულია,
სტუმრით ნათდება მთელი დღე,
აქ სვანის ოქროს გულია
და სიტყვა – როგორც სალი კლდე.

ქვეყანას – ენგური შმაგი
სინათლეს, სითბოს სთავაზობს,
აქეთ უშბაა გუშაგი,
იქით თეთნულდი დარაჯობს.

სამშობლოს დაცვის პირობა
ოდითგან ქართველ ერშია,
ვაჟკაცობა და გმირობა
სვანურ სისხლში და გენშია.

სიტყვა „სოხუმის დაცემა"
როცა გავარდა მეხივით,
მსოფლიომ ნახა ჭუბერის
გმირობის უღელტეხილი.

არ დაიჩოქებს ქართველი,
დაჩოქვა დასასრულია,
სვანეთში არის ჭუბერი,
სვანეთი – დიდი გულია.

# ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘ, ᲔᲗᲔᲠ ᲜᲘᲒᲣᲠᲘᲐᲜᲡ – ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲡ

ეთერო ნიგურიანო,
ფიქრმა ვერ დაგთმო-დაგტოვა,
ქართლში რამ მოგაჯადოვა
უშბიან-ენგურიანო?

იქ, მაღლა, გაზრდილს ზვიადად,
მდუმარს, მოქუფრულ ღრუბლებთან,
ენა რამ აგიბულბულა, –
ირგვლივ რომ აფენ ფიანდაზს?

ქართლის მიწიდან მადლობას
გიძღვნი იმ ლამაზ ცრემლისთვის, –
საბას ტანძიის ხილვისას
შენ რომ გწვავდა და გადნობდა.

# ტანძიაში

სულხან-საბას ნასახლართან

ვდგავარ ნაბუდარზე,
ვით წმინდა მიწაზე..
დავეძებ ნაკვალევს,
დავეძებ ნატერფალს,
დავეძებ შენს აჩრდილს, –
შენს წმინდა ხატებას.

შენი ნასახლარი,
კარის ეკლესია,
აქ შენი დვრიტაა,
აქ შენი ფესვია.

ამ მიწის მადლია,
რაც სიბრძნე გქონია,
რაც კი აგიხსნია
და აგიკონია, –
ქართული ანბანის
ფუძე და ფონია:

ძებნე ასო-ასო,
ძებნე მარცვალ-მარცვალ,
დაართე ფთილებად,
აკინძე მძივებად,
ო, სიტყვის კი არა,
ის სიბრძნის კონაა,
ერს რომ დაუტოვე
განძად და ანდერძად...

გაივლის წლები, საუკუნენი,
ილაპარაკებს ქართველი ქართულს,
კვლავაც აიღებს ხელში სათუთად
შენს „სიტყვის კონას“ –
შენგან ხელდართულს.

# ვაჟა-ფშაველას,
# მადლობა ასი წლის შემდეგ

მე-20 საუკუნის დასაწყისში სოფელ ჯავახის
(ძველად მიჯა ერქვა) გლეხები (მათ შორის იყო
პაპაჩემიც – ისაკ ოქრიაშვილი) თბილისში,
მეფისნაცვალთან სამართალს ეძებდნენ, რომ
მათი სოფლის კუთვნილი მიწები უსამართლოდ
ჩამოართვეს და არაქართველებს დაუსაკუთრეს.
მიჯელ გლეხებს ვაჟა-ფშაველა
შეხვედრია და ამ ამბავს დიდად
შეუწუხებია, რასაც თავადაც აღწერდა.

მიწას უვლიდა მარჩენალს,
მიწა აძლევდა შრომის ფასს, –
სულ ტრიალებდა დოლაბი
და აპურებდა ქართველ კაცს.

ოდითგან დაფუძნებული
და მიწის მესაიდუმლე,
ის იყო მისი მეგუთნეც,
ის იყო მისი მეურმეც.

ამ მიწას გვეცილებოდა
ათასი უცხო ჯურისა,
ფეხი ვერ მოაცვლევინეს,
ქართველს ქართული რჯულისას,

როცა ქვეყანა დაწყნარდა,
იმედის შუქიც გამოჩნდა,
ერთ დროს კუთვნილი მამული
უცებ სხვის ხელში აღმოჩნდა

ბევრი იდავა სოფელმა,
ყველგან აგზავნეს არზები,
პასუხად იყო პასუხი –
სავსე უაზრო აზრებით.

სად უნდა ნახო სიმართლე,
სამართალი თუ არ არის,
შენ შეხვდი მიჯელ გლეხობას,
გაიგე მათი ვარამი.

გაცეცხლდი, გული აგეწვა,
ცრემლიც მოგადგა თვალზედა,
ჯავრობდი, ქართული მიწა
იყიდებოდა სხვაზედა.

რაც შესძელ, კიდეც ურჩიე,
ვერ წყნარდებოდი, ბრაზობდი,
ვაგლახ! ხელში არ გეჭირა
იმ დროს სამართლის საზომი.

. . .
დიდო ქართველო მგოსანო,
გულზე გვიპყრია ხელები,
ასი წლის შემდეგ მადლობას
გიხდიან ჯავახელები!

* * *

პირბანელა ლექსებმა
ლამის ჭკვაზე შემშალონ,
მაშ, რა ექნა ესენინს, –
თავს რომ ველარ უშველა.

* * *

ის სხვა ხმებთან საუბრობს,
მან სხვა სტვირი გათალა, –
პოეზიის საუფლომ
ცხრა თვე მუცლით ატარა.

დადის ხშირად მდუმარი,
ხშირად – ელდანაკრავი,
თავს პოეტი მოიკლავს,
სხვას რა აქვს მოსაკლავი?!

* * *

ჩემს აღმზრდელს,
პროფესორ ტარიელ კვანჭილაშვილს

მდელოზე თეთრი ბატკანი – სამღვთო!
თვალები მშვიდი და მიამიტი,
არავინ ეტყვის ახლა მას მართალს, –
ეს ცვარ-ბალახი საითკენ მიდის.

გაჩენის დღიდან თან დაგვდევს ცოდვა,
ხან ბედი გვწყალობს, ხანაც – უფალი,
და, ეწირება ყველა ჩვენ ცოდვას
ბატკანი – ყველას ჭირისუფალი.

# ფიქრი ვარ

ფიქრი ვარ, ფიქრი ვარ, ფიქრი ვარ,
ფიქრივით, შორეულ გზაზე, –
მივქრივარ, მივქრივარ, მივქრივარ,
ვოცნებობ, არ ვიცი, რაზე...

ჩქარი ვარ, ქარი ვარ, მალი ვარ,
მალი ვარ, უმალეს თვალზე,
გატყორცნილ ისარის დარი ვარ,
მივქრივარ ფიქრივით გზაზე,

ეს ფიქრი, ეს გზა და ოცნება
გაქრება, ოდესმე წავა...
ნეტავ, კვალი თუ შერჩება
ამდენ ნაფიქრალ-ნავალს?

# მშვიდობით ჩემო ახალგაზრდობავ

მინახავს, როცა ასედაც ხდება,
გამიგონია მათი ჩივილიც,
ახალგაზრდობას ემშვიდობება
ცრემლებით, შიშით, გულისტკივილით.

უჭირს აშკარა აღიარება,
სიბერისაკენ მიმავალს გზაზე:
შუქი დააკლდა ორთავ თვალებში,
ბზარი დაეტყო სიტყვაში, ხმაზე,

ახალგაზრდობას თავისი დრო აქვს,
არც ხანმოკლეა და არც – ხანგრძლივი
და, გააჩნია, ვის როგორ გააქვს
მისი კუთვნილი დრო და მანძილი.

ახალგაზრდობა – ვარსკვლავთა ცვენა,
დაპყრობა ახალ-ახალ მწვერვალის,
ყოველდღიური სპექტაკლი-სცენა,
და, ერთგულება საყვარელ ქალის.

ახალგაზრდობა – ენით უთქმელი,
არის ცხადიც და არის ზღაპარიც,
ამ დროს ყველასთვის ხარ სასურველი,
დღისით – მზის სხივი, ღამით – ლამპარი.

ახალგაზრდობა თავისი წლებით
ცალკე რიცხვებად დაიწერება,
ის ერთჯერადი არის წყალობა, –
სიმდიდრეცა და ბედნიერებაც.

სჯობია დაჰყვე დროს და მის ნებას,
გაჯიუტებას ან რა აზრი აქვს,
რომ მშვიდობიან დამშვიდობებას
მისი ხიბლი და სილამაზე აქვს.

მე კი, კიდევაც დამაგვიანდა,
დავემშვიდობო ახალგაზრდობას,
ყველაფრისათვის, ყველაფრისათვის,
ყველაფრისათვის ვუთხრა მადლობა!

ავტოგრაფი

ათასწლეულის ვალი ყველასი ლექსისა,
რაც მივაბარეთ ისევ ლექსის ნიჭსა,
თუ გაწყვეტილი [illegible] ნიღბებსა.
ჩვენი სიცოცხლე ყულფად

მარადიული არაგვერისა,
ჭორს ივსება სულ ჭორო გარაყავს,
და ჟურნ ჟურნალებს ანუ მასის სწორედ
ჟურნ ნაშრომით და ავტოგრაფებით.

# სარჩევი


ჩემი საქართველო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 1
დმანისის ნაქალაქართან . . . . . . . . . . . . . . . . . . . 2
ზეზვა და მზია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 3
აწვიმს საქართველოს . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 4
ტაძარი წმინდა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 5
სანთელი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 6
პატრიარქის საჩუქარი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 7
ვია დოლოროსა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 8
სამაგიერო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 9
მადლობა დედას . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 10
ჩემს შვილიშვილს – სოფოს . . . . . . . . . . . . . . . . 11
დედა ეტყვის შვილს . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 12
... შენ მოევლინე ქვეყანას . . . . . . . . . . . . . . . . . 13
ფოთლები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 14
რა ლამაზი ხარ, დედამიწავ . . . . . . . . . . . . . . . . 15
ხიროსიმას დაბომბვა დარიალის მეწყერი . . . . . . . . 16
ექვსი პირდაღებული გველეშაპი გვიყურებს . . . . . 18
სიზმარი, რუკა, ცრემლები . . . . . . . . . . . . . . . . . 20
... ვბედავ შეგკადრო მადლიერება . . . . . . . . . . . . 21
გიორგი ოქრიაშვილს . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 23
ის ერთადერთი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 25
დროის ფერისცვალება . . . . . . . . . . . . . . . . . . . 27
სხვა მონატრება სცოდნია . . . . . . . . . . . . . . . . . 29

ჩემი სოფლის სურათი . . . . . . . . . . . . . . . . . . 30
დაუვიწყარი კადრები . . . . . . . . . . . . . . . . . . 31
მოხუცი მეზობელი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 33
მუზეუმი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 34
და მოვიდა დინოზავრი . . . . . . . . . . . . . . . . . 35
თბილისური სერენადები . . . . . . . . . . . . . . . . 36
სადღეგრძელო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 38
ტირიფი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 39
ათი წლის შემდეგ მესტუმრა ლექსი . . . . . . . . . . . 40
მგზავრი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 41
საზიარო ცრემლი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 42
სიცოცხლის ანატომია, ანუ, კვლავ
დაიწყება თავიდან . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 43
აწმყო-წამია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 44
მარადიული სული . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 45
სიზმარი-ცხადი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 46
არ ისროლოთ, ძმები ხართ . . . . . . . . . . . . . . . 47
ბერიკები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 48
უკვდავი სახეები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 49
იავ-ნანას, ვარდო-ნანას . . . . . . . . . . . . . . . . 50
პასკვილი „კაზანტიპს” . . . . . . . . . . . . . . . . . 51
. . . რა საბრალოა ხარბი . . . . . . . . . . . . . . . . 53
საარსებო კალათა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 54
... ადამიანი გვიან ბრძენდება . . . . . . . . . . . . . 55
... საკუთარ თავთან დიდხანს დაობდა . . . . . . . . . . 56

... რაც უნდა თხარო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 57
ფიქრები ჩარჩოში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 58
ვინ იცის, იქნებ აგვიხდეს... . . . . . . . . . . . . . . . . . 59
... მთელი ცხოვრება უთქმელად ვიწვი . . . . . . . . . . 60
... შენ ისევ მართავ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 61
სტუდენტობა – ჩემი ჯგუფი . . . . . . . . . . . . . . . . . 62
ლალი გვასალიას . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 63
ეთერ ქადეიშვილს . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 64
... მე შენ დაგიწერ ისეთ წერილებს . . . . . . . . . . . . 65
... არ მინანია, სიყვარული . . . . . . . . . . . . . . . . . 66
...იმ ბიჭს ის გოგო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 67
... შენს თვალებში დავინახე . . . . . . . . . . . . . . . . 68
... ჩუმად, მორცხვად . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 69
უნდა მოვასწრო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 70
არ ეცადო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 71
... მალავ, მაგრამ, ვერ დამალავ . . . . . . . . . . . . . . 72
ც. მ.-ს . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 73
როგორც მოხუცის გულწრფელი ცრემლი . . . . . . . . . 74
... კოშკში ზის ნინო ლამაზი . . . . . . . . . . . . . . . . 75
... მე რომ ვარსებობ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 76
... არც მირეკავ და აღარც მწერ . . . . . . . . . . . . . . 77
... დაგეძებ ყველგან . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 78
... შენ სულ უსიტყვოდ . . . . . . . . . . . . . . . . . . . 79
საყურე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 80

...ღამით მთვარე გამოვგზავნე . . . . . . . . . . . . . . . . . 81
სვანეთი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 82
სვანეთი, ეთერ ნიგურიანს –
გეოგრაფიის მასწავლებელს . . . . . . . . . . . . . . . . . . 83
ტანძიაში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 84
ვაჟა-ფშაველას, მადლობა ასი წლის შემდეგ . . . . . . 85
... პირბანელა ლექსებმა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 87
... ის სხვა ხმებთან საუბრობს . . . . . . . . . . . . . . . . 88
... მდელოზე თეთრი ბატკანი . . . . . . . . . . . . . . . . . 89
ფიქრი ვარ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 90
მშვიდობით ჩემო ახალგაზრდობავ . . . . . . . . . . . . . . 91
ავტოგრაფი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 93